საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/942
27.09.2024

ბრძანება

942-01-4-202409271604

ფ/პ ემინ უჩარის (პ/ნ) ((თურქეთი)) მიერ შპს „ჯერმან ცემენტ ლტდ-ის“ (ს/ნ 405347174) 100%-იანი წილის შეძენის გზით განხორციელებული კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს მე-11 მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტების, 11^1 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 17^1 მუხლის მე-4 პუნქტის, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-8^1 მუხლის, მე-16 მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის №288 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნტისა და მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს გადაწყვეტილება ფ/პ ემინ უჩარის (პ/ნ) ((თურქეთი)) მიერ შპს „ჯერმან ცემენტ ლტდ-ის“ (ს/ნ 405347174) 100%-იანი წილის შეძენის გზით განხორციელებული კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ თანდართული სახით;

2. წილის შეძენით კონტროლის მოპოვების გზით ფ/პ ემინ უჩარსა და შპს „ჯერმან ცემენტ ლტდ-ის“ შორის განხორციელებული კონცენტრაცია მიჩნეულ იქნეს კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად;

3. გადაწყვეტილება გაეგზავნოს საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში შეტყობინების წარმომდგენ პირს;

4. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, სახელმწიფო, კომერციულ, პროფესიულ, პერსონალურ ან/და საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით;

5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წინამდებარე აქტის ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64);

6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ლევან კალანდაძე

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

გადაწყვეტილება

ფ/პ ემინ უჩარის (პ/ნ) ((თურქეთი)) მიერ შპს „ჯერმან ცემენტ ლტდ-ის“ (ს/ნ 405347174) 100%-იანი წილის შეძენის გზით განხორციელებული კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ

I. ფაქტობრივი გარემოებები

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოსთვის (შემდგომ - „სააგენტო“) წინასწარ წერილობით შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციების სააგენტოსათვის შეუტყობინებლობის შესაძლო ფაქტების გამოვლენისა და მათზე შემდგომი რეაგირების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ 2024 წლის 01 მაისს ფ/პ ემინ უჩარმა (პ/ნ) ((თურქეთი)) შეიძინა შპს „ჯერმან ცემენტ ლტდ-ის“ (ს/ნ 405347174) 100%-იანი წილი და ეს ტრანზაქცია, წილის მოცულობის გათვალისწინებით, სავარაუდოდ, ექვემდებარებოდა სააგენტოსთვის წინასწარ წერილობით შეტყობინებას.[1]

ფ/პ ემინ უჩარის (პ/ნ) მიერ შპს „ჯერმან ცემენტ ლტდ-ის“ (ს/ნ 405347174) 100%-იანი წილის შეძენის ფაქტთან დაკავშირებით, 2024 წლის 11 ივლისს სააგენტომ დაიწყო მარტივი ადმინისტრაციული წარმოება. კონცენტრაციის შესახებ წინასწარი შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე პირს - ფ/პ ემინ უჩარს ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ეთხოვა პოზიციის, ტრანზაქციასთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და კონცენტრაციაში მონაწილე და მათთან დაკავშირებული იმ პირების შესახებ ინფორმაცია, რომლებიც ოპერირებენ საქართველოს ბაზარზე და საქართველოს ტერიტორიაზე გააჩნიათ შემოსავლები, ასევე კონცენტრაციაში მონაწილე პირთა და მათთან დაკავშირებული პირების 2023 წლის ერთობლივი შემოსავლების შესახებ ინფორმაცია. გარდა ამისა, მას ეთხოვა ინფორმაციის წარმოდგენა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11[2] მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევ(ებ)ის არსებობის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).[2] სააგენტოს 2024 წლის 12 ივლისის წერილის პასუხად, ფ/პ ემინ უჩარის მიერ, 2024 წლის 19 ივლისის წერილით (რეგ. N01/3688) სააგენტოში წარმოდგენილ იქნა პოზიცია. სააგენტოს დამატებითი მოთხოვნის საფუძველზე, მხარემ სააგენტოში ასევე წარმოადგინა 2024 წლის 15 აპრილს დადებული წილის ნასყიდობის ხელშეკრულება, 2024 წლის 15 მაისს დადებული ზემოაღნიშნული წილის ნასყიდობის ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმება და ასევე, შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ცნობები კონცენტრაციაში მონაწილე და მათთან დაკავშირებული პირების 2023 წლის ერთობლივი შემოსავლების შესახებ.

---

[1] სტრატეგიული ბაზრების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის 2024 წლის 11 ივლისის N03/770 მოხსენებითი ბარათი.

[2] სააგენტოს 2024 წლის 12 ივლისის N02/2592 წერილი.

სააგენტოს მიერ დამუშავებული დოკუმენტებით დადგინდა, რომ შპს „ჯერმან ცემენტ ლტდ-ის“ 100%-იანი წილის შეძენით ფ/პ ემინ უჩარი მოიპოვებდა იმგვარ უფლებებს, რაც მას შესაბამის ეკონომიკურ აგენტზე სრული ერთპიროვნული კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას აძლევდა და, ამგვარად, სახეზე იყო კონცენტრაცია[3]. შესაბამისად, სააგენტომ შეამოწმა განხორციელებული კონცენტრაცია აკმაყოფილებდა თუ არა „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს კონცენტრაციის განხორციელების წინა ფინანსური წლის მდგომარეობით ერთობლივი შემოსავლების ნაწილში[4]. შპს „ჯერმან ცემენტ ლტდ-ის“ ერთობლივი შემოსავალი 2023 წელს შეადგენდა

ხოლო ემინ უჩარის ერთობლივი წლიური შემოსავალი (რაშიც „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის №39 ბრძანების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად მოიაზრება როგორც თავად კონცენტრაციაში მონაწილე პირის, ასევე მის მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლირებადი ან პირდაპირ ან არაპირდაპირ მაკონტროლებელი საწარმოების ერთობლივი შემოსავლების ჯამი) –

---

[3] “კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად: „კონცენტრაციად მიიჩნევა ასევე ფასიანი ქაღალდების ან წილის შეძენით, ხელშეკრულებებით ან სხვა საშუალებებით ერთ ან რამდენიმე ეკონომიკურ აგენტზე პირდაპირი ან ირიბი, სრული ან ნაწილობრივი კონტროლის მოპოვება სხვა ერთი ან რამდენიმე ეკონომიკური აგენტის მიერ ან სხვა ისეთი ერთი ან რამდენიმე პირის მიერ, რომელიც/რომლებიც ამ კანონის მიზნებისთვის არ არის/არ არიან მიჩნეული ეკონომიკურ აგენტად/ეკონომიკურ აგენტებად და რომელიც/რომლებიც უკვე აკონტროლებს/აკონტროლებენ სულ მცირე ერთ ეკონომიკურ აგენტს“. „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „მ“ ქვეპუნქტი ადგენს კონტროლის ლეგალურ დეფინიციას, რომლის თანახმადაც კონტროლი არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც პირს შეუძლია პირდაპირ ან არაპირდაპირ არსებითი გავლენა მოახდინოს ეკონომიკური აგენტის გადაწყვეტილებაზე და იმავდროულად: 1) პირი ფლობს ეკონომიკური აგენტის ხმის უფლების მქონე აქციების/წილის ისეთ ოდენობას, რომელიც მას საშუალებას აძლევს, დანიშნოს მმართველი ორგანოს წევრთა უმრავლესობა; 2) პირი ფლობს საოპერაციო აქტივებს მთლიანად ან მათ მნიშვნელოვან ნაწილს; 3) პირი არის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ან ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი; 4) პირს აქვს მნიშვნელოვანი ხმის უფლება გარიგებებზეამასთან, ევროკავშირის პრაქტიკაში გამოყოფენ ერთპიროვნული და ერთობლივი კონტროლის ცნებებს, სადაც ერთპიროვნული კონტროლი გულისხმობს სტრატეგიული გადაწყვეტილებების ცალმხრივად და დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობას. იურიდიულ საფუძველზე ერთპიროვნული კონტროლის მოპოვების ყველაზე გავრცელებული შემთხვევაა, როდესაც პირი იძენს კომპანიის ხმის უფლების მქონე აქციების/წილების უმრავლესობასა და ამასთან დაკავშირებულ უფლებებს. კონტროლის უფლების მოპოვებისათვის, როგორც წესი, სუბიექტის მიერ შეძენილი წილები/აქციები უნდა მოიცავდეს ხმათა უმრავლესობის მოპოვებას. პირდაპირი კონტროლის ნათელი მაგალითია სწორედ ხმის უფლების მქონე წილების ან აქციების უმრავლესობის მოპოვება. ცალკეული იშვიათი გამონაკლისის არარსებობის პირობებში კი, ასეთად ცალსახად მოიაზრება კომპანიის 100%-იანი წილის შეძენა.

[4] სააგენტოსათვის შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, თუ მისი მონაწილე პირების ერთობლივი (ჯამური) წლიური შემოსავალი საქართველოს ტერიტორიაზე, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების წარმოშობის წინა ფინანსური წლის მდგომარეობით, აღემატება 20 მილიონ ლარს და ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი პირიდან თითოეულის წლიური ბრუნვა აღემატება 5 მილიონ ლარს. ამასთან, წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კონცენტრაციის მონაწილეთა ერთობლივი შემოსავლის გამოთვლისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ერთეულების ჯამური ერთობლივი შემოსავალი: ა) კონცენტრაციაში მონაწილე პირი; ბ) კონცენტრაციაში მონაწილე პირთა მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლირებადი ან პირდაპირ ან არაპირდაპირ მაკონტროლებელი საწარმოები; გ) საწარმოები, რომლებიც იმყოფებიან კონცენტრაციის მონაწილე პირთა ერთობლივი კონტროლის ქვეშ.

.[5] ამდენად, კონცენტრაციის მონაწილე ორივე სუბიექტის ერთობლივი შემოსავალი აჭარბებდა ხსენებული ნორმატიული აქტით დადგენილ მინიმალურ ზღვარს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 31 ივლისის ბრძანებით, ფ/პ ემინ უჩარის (პ/ნ) ((თურქეთი)) მიერ შპს „ჯერმან ცემენტ ლტდ-ის“ (ს/ნ 405347174) 100%-იანი წილის შეძენა მიჩნეულ იქნა სააგენტოსთვის წინასწარ სავალდებულო წერილობით შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის სააგენტოსთან შეთანხმების გარეშე განხორციელებად.[6] შემძენს, როგორც სააგენტოსათვის კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე პირს[7], დაევალა განხორციელებული კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების კანონმდებლობით დადგენილი წესით, 21 კალენდარული დღის ვადაში სააგენტოში წარმოდგენა. ვინაიდან, განსახილველ შემთხვევაში კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულება გააჩნდა ემინ უჩარს - ფიზიკურ პირს, რომელიც არ წარმოადგენდა ეკონომიკურ აგენტს, მისთვის დასაკისრებელი ჯარიმის ოდენობა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად განისაზღვრა 10 000 ლარით.

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში 2024 წლის 20 აგვისტოს N01/4214 წერილით შემოვიდა შეტყობინება ფ/პ ემინ უჩარსა (პ/ნ) ((თურქეთი)) და შპს „ჯერმან ცემენტ ლტდ-ის“ (ს/ნ 405347174) შორის განხორციელებული კონცენტრაციის თაობაზე. შეტყობინება „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის N39 ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად სრულყოფილი სახით იქნა წამოდგენილი და ცნობილ იქნა დასაშვებად [8].

წარმოდგენილი შეტყობინება მოიცავდა დადგენილი ფორმით მოთხოვნილ ინფორმაციას კონცენტრაციის შესახებ:

- ზოგადი მონაცემები კონცენტრაციაში მონაწილე პირთა შესახებ;
- ზოგადი ინფორმაცია კონცენტრაციის შესახებ - ფორმა, მიზანი;
- კონცენტრაციის მხარეებთან დაკავშირებული პირები, მათი ერთობლივი შემოსავლები 2023 წელს;
- კონცენტრაციის აღწერა - შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა, უახლოესი 24 თვის ეკონომიკური და ბიზნესგეგმები, კონცენტრაციის სავარაუდო შედეგები, ინფორმაცია კონცენტრაციის დადებითი და უარყოფითი ზეგავლენის შესახებ; კონცენტრაციის მოსალოდნელი შედეგების აღწერა; საკითხები, რამაც მხარეთა მოსაზრებით შეიძლება გავლენა იქონიოს

[5] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის გადასახადების ადმინისტრირების სისტემის მონაცემები.

[6] საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N 04/696; 31.07.2024.

[7] „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-5 მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად.

[8] სააგენტოს 2024 წლის 23 აგვისტოს წერილი N02/3147.

საკითხის დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტაზე და რაზეც სააგენტოს მიერ ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული.

შეტყობინებას დანართის სახით თან ახლდა კონცენტრაციის მხარეებთან დაკავშირებული პირებისა და მათი მონაცემების ამსახველი სქემა. ასევე, სააგენტოს მოთხოვნის შესაბამისად, მხარის მიერ დამატებით იქნა წარმოდგენილი მონაცემები უკანასკნელი ფინანსური წლის განმავლობაში შპს „ჯერმან ცემენტ ლტდ-ის“ მიერ წარმოებული, შეძენილი და რეალიზებული ძირითადი საქონლის/მომსახურების ასორტიმენტისა და მოცულობის, ძირითადი მომწოდებლებისა და შემსყიდველების/მომხმარებლების შესახებ.

<u>ინფორმაცია კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების შესახებ:</u>

კონცენტრაციის განხორციელებამდე შპს „ჯერმან ცემენტ ლტდ-ის“ (ს/ნ 405347174) 100%-იანი წილის მფლობელი პარტნიორი იყო შპს „რმ ექსპლორატიონ ჯმბჰ“ (HRBHRB3820) (გერმანია). განსახილველი ტრანზაქციის შედეგად, ფ/პ ემინ უჩარმა (პ/ნ) ((თურქეთი)) შეიძინა შპს „ჯერმან ცემენტ ლტდ-ის“ (ს/ნ 405347174) 100%-იანი წილი სრულად.

<u>მონაწილე მხარეების ურთიერთდამოკიდებული ეკონომიკური აგენტები:</u>

ფ/პ ემინ უჩარი წარმოადგენს შპს „მაქრო ქონსთრაქშენის“ (ს/ნ 445433120), შპს „მაქრო ტურიზმის“ (ს/ნ 404492759), შპს „მაქრო ფუდის“ (ს/ნ 404512498), შპს „MAQRO“ -ის (ს/ნ 445407373), შპს „მაქრო დეველოპმენტისა“ (ს/ნ 405682603) და შპს „ჯერმან ცემენტ ლტდ“-ის (ს/ნ 405347174) 100%-იანი წილის მფლობელ პარტნიორს. ასევე, თავის მხრივ, შპს „მაქრო ქონსთრაქშენი“ ამხანაგობა „გოჩაი ინშაათ თააჰუნ ვე თიჯარეთ ანონიმ შირქეთი - შპს „მაქრო ქონსთრაქშენ“-ში (ს/ნ 205497354) ფლობს 50%-იან წილს.

როგორც შეტყობინებაშია აღნიშნული, წინამდებარე კომპანიები ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებენ შემდეგ ბაზრებზე:

- **შპს „მაქრო ქონსთრაქშენი“ (ს/ნ 445433120**) - საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების, გზების, ავტობანების, ხიდების, გვირაბებისა და გამანაწილებელი საინჟინრო ობიექტების მშენებლობა, ასევე საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ყიდვა-გაყიდვა;
- **შპს „მაქრო ტურიზმი“ (ს/ნ 404492759) -** სასტუმროებისა და განთავსების მსგავსი საშუალებების რესტორნებითურთ ოპერირება, რესტორნების ოპერირება, საკვებითა და სასმელებით მობილური მომსახურების საქმიანობები;
- **შპს „მაქრო ფუდი“ (ს/ნ 404512498)** - რესტორნების ოპერირება და საკვებით მობილური მომსახურების საქმიანობები, საკვების მიწოდება ღონისძიებებისათვის, საკვებითა და სასმელებით მომსახურების სხვა საქმიანობები და სასმელებით მომსახურების საქმიანობები;
- **შპს „MAQRO“ (ს/ნ 445407373)** - სხვა ავეჯის წარმოება, საბითუმო ვაჭრობა ავეჯით, ხალიჩებითა და სანათი მოწყობილობებით, სხვა საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში, საცალო ვაჭრობა საყოფაცხოვრებო ავეჯით, რესტორნების ოპერირება და საკვებით მობილური მომსახურების საქმიანობები;

- **შპს „მაქრო დეველოპმენტი“ (ს/ნ 405682603**) - გზებისა და ავტობანების მშენებლობა;
- **შპს „ჯერმან ცემენტ ლტდ“ (ს/ნ 405347174)** – ცემენტის წარმოება, რკინიგზის სატვირთო ტრანსპორტი, სატვირთო საგზაო ტრანსპორტი, დასაწყობება და შენახვა, ტვირთის დატვირთვა-განტვირთვა;
- **ამხანაგობა „გოჩაი ინშაათ თააჰუნ ვე თიჯარეთ ანონიმ შირქეთი - შპს „მაქრო ქონსთრაქშენ“ (ს/ნ 205497354)** - გზებისა და ავტობანების მშენებლობა.

შეტყობინებაში მითითებულია, რომ ბოლო 3 წლის განმავლობაში გარდა მითითებული კონცენტრაციისა, ეკონომიკურ აგენტს წილები არ შეუძენია.

კონცენტრაციის ფორმა:

განხორციელებული კონცენტრაციის ფორმა არის ეკონომიკურ აგენტზე სრული ერთპიროვნული კონტროლის მოპოვება 100%-იანი წილის შეძენის გზით, კერძოდ, ფ/პ ემინ უჩარმა (პ/ნ) ((თურქეთი)) შეიძინა შპს „ჯერმან ცემენტ ლტდ-ის“ (ს/ნ 405347174) 100%-იანი წილი.

კონცენტრაციის მიზანი და გეგმა:

მხარეთა განცხადებით, კონცენტრაციის მიზანს წარმოადგენს ბიზნესის გაფართოება და მაღალი ხარისხის ცემენტის წარმოება, როგორც ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის, ასევე სამშენებლო ინდუსტრიისთვის. ასევე, სხვა საქმიანობის სფეროში ბიზნეს საქმიანობის განხორციელება.

როგორც შეტყობინებაშია მითითებული, კონცენტრაციის შედეგად მხარე მოელის მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. მისივე მოსაზრებით, კონცენტრაციის შედეგად შესაძლებელი გახდება იმპორტის ჩანაცვლება. ამასთან, მხარის გათვლებით არ არის მოსალოდნელი, კონცენტრაციამ უარყოფითი შედეგები გამოიწვიოს.

შეტყობინებაში მოცემულია შემძენის პოზიცია შესაბამის ბაზართან დაკავშირებითაც, კერძოდ, კონცენტრაციის სავარაუდო შესაბამის პროდუქციულ ბაზრად მიჩნეულია ცემენტის წარმოებისა და ტრანსპორტირების ბაზარი, გეოგრაფიულ ბაზრად - ეროვნული დონე, საქართველო, ხოლო დროითი ჩარჩო განსაზღვრულია როგორც მუდმივი.

შეტყობინებაში ასევე მოცემულია სამი საკითხი, რამაც მხარეთა მოსაზრებით, შესაძლოა გავლენა იქონიოს სააგენტოს მხრიდან საკითხის დადებითად გადაწყვეტაზე:

- გამომდინარე იქიდან, რომ შპს „ჯერმან ცემენტ ლტდ“-ის მიერ ცემენტის წარმოება ბაზრის დაახლოებით %-ს შეადგენს,
  , ვინაიდან ბაზარზე წარმოდგენილია არაერთი მსხვილი კომპანია, რომელიც იდენტურ საქმიანობას ახორციელებს;
- კონცენტრაცია არ შეზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოსა და მისი ნაწილის სასაქონლო ან/და მომსახურების ბაზრებზე და იგი თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან;

- კონცენტრაცია არსებით ზეგავლენას არ მოახდენს საცალო ვაჭრობის ბაზრის ორგანიზებულ ქსელებსა და არაორგანიზებულ სავაჭრო ობიექტებზე.

მხარეები ადასტურებენ, რომ შეტყობინებაში წარმოდგენილი ინფორმაცია შეესაბამება სიმართლეს და მათთვის ცნობილია არასწორი ინფორმაციის მიწოდებით გამოწვეული და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგები.

II. სამართლებრივი მიმოხილვა

სააგენტოსთვის წინასწარ შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენის, განხილვისა და სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების მატერიალური და პროცედურული საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ: „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, „სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N288 დადგენილებით, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით, „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით და სხვა.

1. სააგენტოსათვის წინასწარ შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, რომელიც ერთობლივად აკმაყოფილებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 და 11^1 მუხლების მოთხოვნებს.
2. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია კონცენტრაციის განმარტება, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტით განისაზღვრება ის უფლებები, რომელიც გამოიყენება კონცენტრაციის მიზნებისთვის კონტროლის განსახორციელებლად;
3. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად, სააგენტოსთვის წინასწარ შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის განხორციელება დასაშვებია მხოლოდ მისი კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ხოლო ამავე კანონის 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, სავალდებულო შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის სააგენტოს გვერდის ავლით განხორციელების შემთხვევაში, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე პირს ეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ აღემატება სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის წინა ფინანსური წლის ერთობლივი შემოსავლის 5%-ს. ჯარიმის დაკისრება შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე პირს არ ათავისუფლებს სააგენტოსთვის შეტყობინების წარმოდგენისგან. ჯარიმის დაკისრების პარალელურად, შეტყობინების წარმოდგენის ვადას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს სააგენტო და იგი არ შეიძლება იყოს 14 კალენდარულ დღეზე ნაკლები. სააგენტო განიხილავს კანონმდებლობის გვერდის ავლით განხორციელებულ კონცენტრაციას და იმ შემთხვევაში თუ ის მიიჩნევა დაუშვებლად, ჯარიმის დაკისრების

პარალელურად მიმართავს სასამართლოს კონცენტრაციის გაუქმების და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მიზნით;

4. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ჯარიმის ოდენობის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შესაბამისი დარღვევით გამოწვეული ზიანი, დარღვევის ხანგრძლივობა და სიმძიმე. თავის მხრივ, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 2 დეკემბრის N04/158 ბრძანებით დამტკიცებული „ჯარიმების ოდენობის დადგენის სახელმძღვანელო პრინციპების“ მიხედვით, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის პროცესში სააგენტო მოქმედებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნის დასაცავად და ითვალისწინებს მხარეთა ინტერესებს. კერძოდ, უზრუნველყოფს, რომ მის მიერ გამოყენებული ჯარიმა იყოს სამართლიანი, პროპორციული და პრევენციული ხასიათის. ჯარიმის დაკისრების დროს, გასათვალისწინებელია, ქმედება განზრახ იქნა ჩადენილი თუ გაუფრთხილებლობით, პირი მოქმედებდა მოგების მიღების მიზნით, თუ საკუთარი საწარმოს რთულ ვითარებაში ჩაგდების თავიდან ასაცილებლად, ან პირველად ჩაიდინა თუ არა მან მსგავსი ქმედება და სხვა. ჯარიმის განსაზღვრის დამატებითი კრიტერიუმები ასევე მოცემულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსშიც. ჯარიმის ინდივიდუალური ოდენობის გამოთვლის დროს, მხედველობაში მიიღება პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები, კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის ეკონომიკური მდგომარეობა;

5. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სააგენტოსათვის წინასწარ სავალდებულო წერილობით შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, თუ მისი მონაწილე პირების ერთობლივი (ჯამური) წლიური შემოსავალი საქართველოს ტერიტორიაზე, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების წარმოშობის წინა ფინანსური წლის მდგომარეობით, აღემატება 20 მილიონ ლარს და, ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი პირიდან თითოეულის წლიური ერთობლივი შემოსავალი აღემატება 5 მილიონ ლარს;

6. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კონცენტრაციის მონაწილეთა ერთობლივი შემოსავლის გამოთვლისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ერთეულების ერთობლივი შემოსავალი: ა) კონცენტრაციაში მონაწილე პირი; ბ) კონცენტრაციაში მონაწილე პირთა მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლირებადი ან პირდაპირ ან არაპირდაპირ მაკონტროლებელი საწარმოები; გ) საწარმოები, რომლებიც იმყოფებიან კონცენტრაციის მონაწილე პირთა ერთობლივი კონტროლის ქვეშ.

7. სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით - შეძენით, ხელშეკრულებებით ან სხვა საშუალებებით კონტროლის მოპოვების შემთხვევაში – შეტყობინების წარდგენის ვალდებულება ეკისრება(თ) შემძენ ან/და კონტროლის უფლების მომპოვებელ პირ(ებ)ს;

8. კანონის 11^1 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს მიერ კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვისათვის დაწესებული საფასური შეადგენს 5 000 ლარს;
9. კანონის 11^1 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, თუ დაგეგმილი კონცენტრაცია ექცევა კანონის რეგულირების სფეროში, სააგენტო კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვას იწყებს კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ და ამ დოკუმენტის წარდგენიდან არაუგვიანეს 25 სამუშაო დღისა, ვალდებულია განიხილოს და მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:
10. ა) დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ;
11. ბ) კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ, თუ არსებობს გონივრული ეჭვი, რომ შესაძლებელია დაგეგმილი კონცენტრაცია კონკურენტულ გარემოსთან თავსებადი არ იყოს ან თუ, საქმის სირთულიდან გამომდინარე, საჭიროა შესაბამისი საკითხის დამატებით შესწავლა. სააგენტოს მიერ აღნიშნულ ვადაში ერთ-ერთი გადაწყვეტილების მიუღებლობა დადებით პასუხად მიიჩნევა;
12. კანონის 11^1 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სააგენტო ვალდებულია კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინება განიხილოს კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა. ამ ვადაში სააგენტოს მიერ აღნიშნულ შეტყობინებაზე პასუხის გაუცემლობა დადებით პასუხად მიიჩნევა;
13. იმ ეკონომიკური აგენტების კონცენტრაციის რეგისტრაციისთვის, რომლებსაც ეკისრებათ ამ კანონის 11^1 მუხლით განსაზღვრული კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების ვალდებულება, აუცილებელია, არსებობდეს სააგენტოს გადაწყვეტილება მოსალოდნელი კონცენტრაციის კონკურენტული ეფექტის შესახებ. სააგენტოს მიერ უარყოფითი დასკვნის გაცემა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ეკონომიკური აგენტის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია;
14. კანონის 11^1 მუხლის მე-6 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული ვადების ამოწურვამდე ან სააგენტოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე კონცენტრაციის განხორციელება აკრძალულია. სააგენტოს მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში კონცენტრაციის განხორციელება აკრძალულია;
15. კანონის მე-11 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, კონცენტრაცია, რომელიც არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე, თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან. ხოლო, კონცენტრაცია, რომელიც ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას - არ არის თავსებადი;
16. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 და „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებებით დამტკიცებული კანონქვემდებარე აქტები განსაზღვრავს დაგეგმილი კონცენტრაციის შეფასებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს. კერძოდ, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული აქტით

განსაზღვრულია კონცენტრაციის შეფასების პრინციპები, მეთოდები და შესაბამისი კრიტერიუმები, ხოლო „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული აქტი ადგენს სასაქონლო ბაზრის შესწავლისა და შეფასებისათვის საჭირო პრინციპებსა და მეთოდებს;

17. კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს მისი საქმიანობის ან/და კონკრეტული ოპერაციის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტაციის (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაციის) წარდგენა, რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებისთვის.

III. ბაზრის ანალიზი

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე” სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანების მე-5 მუხლის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს შემდეგი სამი პარამეტრის მეშვეობით:

ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები;

ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები;

გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები.

ა) პროდუქციული საზღვრები

შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე.[9]

სააგენტოში წარმოდგენილი შეტყობინების თანახმად, განსახილველი კონცენტრაციის მხარეები და მათთან დაკავშირებული პირები ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებენ სხვადასხვა ბაზრებზე. კერძოდ, შპს „ჯერმან ცემენტ ლტდ“-ის (ს/ნ 405347174) საქმიანობის სფეროა - ცემენტის წარმოება, რკინიგზის სატვირთო ტრანსპორტი, სატვირთო საგზაო ტრანსპორტი, დასაწყობება, შენახვა და ტვირთის დატვირთვა-განტვირთვა. რაც შეეხება, ფ/პ ემინ უჩართან(პ/ნ) ((თურქეთი)) დაკავშირებულ პირებს, (შპს „მაქრო ქონსთრაქშენი“ (ს/ნ 445433120), შპს „მაქრო ტურიზმი“ (ს/ნ 404492759), შპს „მაქრო ფუდი“ (ს/ნ 404512498), შპს „MAQRO“ (ს/ნ 445407373), შპს „მაქრო დეველოპმენტი“ (ს/ნ 405682603), შპს „ჯერმან ცემენტ ლტდ“ (ს/ნ 405347174) და ამხანაგობა „გოჩაი ინშაათ თააჰუნ ვე თიჯარეთ ანონიმ შირქეთი - შპს „მაქრო ქონსთრაქშენი“ (ს/ნ 205497354)), ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებენ შემდეგ სფეროებში: საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა, გზების და ავტობანების მშენებლობა, ხიდების და გვირაბების მშენებლობა, გამანაწილებელი საინჟინრო ობიექტების მშენებლობა, საცხოვრებელი შენობების ყიდვა-გაყიდვა და არასაცხოვრებელი შენობების ყიდვა-

[9] კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის N 37 ბრძანებით დამტკიცებული „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტი.

გაყიდვა, სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები რესტორნებით, რესტორნები და საკვებით მობილური მომსახურების საქმიანობები და სასმელებით მომსახურების საქმიანობები, საკვების მიწოდება ღონისძიებებისათვის, საკვებით მომსახურების სხვა საქმიანობები და სასმელებით მომსახურების საქმიანობები, სხვა ავეჯის წარმოება, საბითუმო ვაჭრობა ავეჯით ხალიჩებით და სანათი მოწყობილობებით, სხვა საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში, საცალო ვაჭრობა საყოფაცხოვრებო ავეჯით და რესტორნები და საკვებით მობილური მომსახურების საქმიანობები, გზების და ავტობანების მშენებლობა.

განსახილველი კონცენტრაციისა და მისი შეფასების მიზნებიდან გამომდინარე, ასევე, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კონცენტრაციის მხარეები და მათთან დაკავშირებული კომპანიები ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებენ სხვადასხვა ბაზრებზე, სააგენტო ეყრდნობა არსებულ პრაქტიკას მსგავს შემთხვევებში შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრების ღიად დატოვების შესახებ.

ბ) გეოგრაფიული საზღვრები

პროდუქციის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, კონცენტრაციის გეოგრაფიულ საზღვრად განისაზღვრა ეროვნული დონე.

გ) დროითი ჩარჩო

პროდუქციის მიწოდება არ ხასიათდება სეზონურობით, შესაბამისად, ბაზარს არ გააჩნია კონკრეტული დროითი ჩარჩო.

როგორც უკვე აღინიშნა, ერთი მხრივ კონცენტრაციის მონაწილე მხარე შპს „ჯერმან ცემენტ ლტდ“ და მეორე მხრივ ფ/პ „ემინ უჩარის“ ურთიერთდამოკიდებული კომპანიები ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებენ სხვადასხვა ბაზრებზე. შესაბამისად, სააგენტოს პოზიციით, განხორციელებული კონცენტრაცია ვერ იქნება გავლენის მომხდენი განსახილველ ბაზრებზე და შესაბამისად, თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან.

IV. კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს შეფასება

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ დაადგინა, რომ ფ/პ ემინ უჩარის (პ/ნ) ((თურქეთი)) მიერ შპს „ჯერმან ცემენტ ლტდ-ის“ (ს/ნ 405347174) 100%-იანი წილის შეძენის საშუალებით ეკონომიკურ აგენტზე კონტროლის მოპოვების გზით განხორციელებული კონცენტრაცია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე და თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან.